ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2026 წლის 26 თებერვალი

ქ. ხობი

„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 თებერვლის №8 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27.02.2018 წ., სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.106.016287) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის 10^1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) უზრუნველყოფს საკრებულოს აპარატის მოხელეთა სამუშაოთა აღწერილობების და დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების მომზადებას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მათ შეთანხმებას საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციასთან.“;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის 10^1 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) უზრუნველყოფს ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის (eHRMS) და ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ ელექტრონული პროგრამის – „ელექტრონული მმართველობის ერთიანი სისტემა - MSDA" ადამიანური რესურსების მართვის მოდულის მართვას და ადმინისტრირებას, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებულ ვებგვერდზე (vacancy.hr.gov.ge) საკრებულოს აპარატისთვის განკუთვნილი შესაბამისი მოდულების მართვას; პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების მართვის ერთიანი ელექტრონული სისტემის ფუნქციონირებისა და მასში საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ინფორმაციის ასახვაზე;“;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის 10^1 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) ახორციელებს ინტერესთა შეუთავსებლობის საკითხებზე მოხელეთა კონსულტირებას და კანონმდებლობის შესაბამისად თანამდებობის პირების მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების დროულად შევსებისა და ჩაბარების ხელშეწყობას; პასუხისმგებელია პირის სადეკლარაციო თანამდებობაზე გამწესების ან სადეკლარაციო თანამდებობიდან გათავისუფლების, სადეკლარაციო თანამდებობის შეცვლის ან შესაბამისი საშტატო ერთეულის გაუქმების, აგრეთვე საჯარო დაწესებულების სტრუქტურაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში სათანადო ინფორმაციის სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მიწოდებაზე;“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 2 მარტიდან.

ხობის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გოჩა ქაჯაია**